



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N85 2017 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი

„გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №178 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №178 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/04/2015, 010080000.10.003.018563) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შემადგენლობა

კახაბერ გულედანი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მიხეილ გვათუა - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის თვითმმართველობებთან ურთიერთობისა და რეგიონული პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

გიორგი დიდიძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

ეკა კაველიძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამართალშემოქმედების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

პაატა შავიშვილი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის

აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

ვაჟა ნეიძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი, კომისიის წევრი.

ვაჟა კიკნაძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი/შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.

დიმიტრი მახათაძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

გიორგი პეტრიაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პროექტების მართვის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე - სამუშაო კომპონენტის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.

ვახტანგ მაღრაძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.

მარიკა ოძელი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ქართული ენის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

თეა ტეტელოშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების

დეპარტამენტის ქართული ენის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი,
კომისიის წევრი.

ვიქტორია ბაიკოვა - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს
უფროსი, კომისიის წევრი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

A blue circular official stamp of the Ministry of Foreign Affairs of Georgia is centered on the page. The stamp contains the text "საგარეო საქმეთა სამინისტრო" (Ministry of Foreign Affairs) around the top and "საგარეო უწყვეტი * რეგისტრირებული" (Continuous * Registered) around the bottom. In the center of the stamp, the letters "MI" are printed. A handwritten signature in black ink is written over the stamp, extending to the left and right.

გიორგი კვირიკაშვილი